

542
1953

დედა

თავადი, ტარა ჭყარბა
იღბინე, იყარა მანქანა
და პრე, ჭარბილო, წყველითა
სამოსილო ვანტეშქმეშქმე
შინაშინი

საქართველოს ადგილ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკირწყლავანთათვის
ბათუმის რედაქციას დალი





მეზარ კაკაბაძე

ნახატი ალ. კუხნიანიძის

7 ნომერი

ცაში ლალად გაგვიშლია
ალისფერი ალმები;
მოგუგუნე შეიღ ნომერს
გულით მივესალმებით!

ყვავილების კონა მოგვაქვს
პაწაწინა ხელებით.
მოვდივართ და მოვიმღერით
ნორჩი ლენინელები!



აქაი ბალიაშვილი

ნახატები პ. უოსნივილისა

ორი მემობარი

პეტია და თამაზი მოხერხებულად მოეწყუნენ მანქანაში და ფანჯრიდან დაუწყეს თვალიერება კრემლის მაღალ კედლებს და ცაშლე ატყორცნილ კოშკებს.

— შენ თუ იცი, რას ნიშნავს სიტყვა კრემლი? — ჰკითხა თამაზს პეტიას მამამ, ძია ვლადისლავმა.

— არა, არ ვიცი. — დარცხვენით უპასუხა თამაზმა.

— მაშ კოტა ხანს მანქანას დავაყენებ და აგისსნი! — თქვა ძია ვლადისლავმა.


მაღე მან ერთ მოხერხებულ ადგილას გააჩერა მანქანა და თამაზს აუხსნა:

— კრემლი ძველებურ ციხე-სიმაგრეს ნიშნავს. ძველად, როდესაც აქ, მდინარე ნეგლინიკის და მოსკვა-რეკას შესართავთან, 1156 წელს იური დოლოგოროუკოვის მიერ იქნა გაშენებული ქალაქი, მტრების შე-

მოსევისაგან დასაცავად ამ ქალაქს შე-
მოარტყეს გალავანი. პირველად ეს გა-
ლავანი ხისა იყო, მხოლოდ შემდეგ, 1367
წელს, ცნობილმა მხედართმთავარმა დიმი-
ტრი ლონსკომ ქალაქი მოსკოვი შემო-
ზღოდა, აი, ამ ქვიტიკის კედლით, რა-
საც ახლა საკუთარი თვალთ ხედავ; მა-
შინ მთელი ქალაქი მოსკოვი ამ კრემლის
შიგნით იყო. მაგრამ გავიდა დრო, მო-
სკოვი თანდათანობით იზრდებოდა, და
დღეს ისეა გაზრდილი, რომ მთლიანად
მთელი კრემლი მოსკოვის შუაგულში
მარტო მთავრობის სასახლე და რამდენ-
იმე ისტორიული შენობადა დარჩა. რუ-
სეთის ბევრ ძველ ქალაქს აქვს ასეთი
ციხე-სიმაგრე, მაგალითად: პსკოვს, ნოვ-
გოროდს და სხვებს. თქვენს თბილისსაც
ექნებოდა თავისი კრემლი.

— როგორ არა, ნარიყალა და მეტე-
ხი! — უპასუხა თამაზმა, — მხოლოდ მისგან
ნანგრევებილა დარჩენილი. უკანასკნელ-
ლად ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტ
წელს სპარსეთის შაჰმა აღა-შაჰმად-ხანმა
აიღო თბილისი, მთლად დააქცია ციხის
კედლებიც და მთელი ქალაქიც.

— ოჰო, შენ კარგად გცოდნია შენი
ქვეყნის ისტორია! — უთხრა ვლადის-
ლავმა.



— ეს მე მამამ მიაშბო. — უპასუხა თა-
მაზმა.

— კრემლსაც დიდი ისტორია აქვს.
ამ კედლებთან მრავალი ბრძოლა მომ-
ხდარა, მაგრამ ჩვენი ხალხი ყოველთვის
გამარჯვებული გამოდიოდა. 1812 წელს
კრემლი აიღო საფრანგეთის ცნობილმა
მხედართმთავარმა და იმპერატორმა ნა-
პოლეონმა. მაგრამ მას რუსეთის ძლიერ-
მოსილმა ხალხმა კუდით ქვა ასროლინა,
მთელი მისი უთვალავი ჯარი სრულიად
განადგურა და თვითონ ნაპოლეონმაც
ძლივს გაასწრო აქედან. კრემლის კოშ-
კებიდან მთავარია...

— სპასისა! — შეაწყვეტინა მამამის
პეტეამ. — აი, ზედ რომ კურანტები დგას.

— იქნებ თამაზმა არ იცის, რა არის
კურანტები. — თქვა ძია ვლადისლავმა. —
— რადიოში კრემლის საათის რეკვა და
სახელმწიფო ჰიმნი არ მოგისმენია?
— როგორ არა, ხშირად. — უპასუხა
თამაზმა.

— ჰოდა, კურანტები ძველებური საა-
თია, რომელსაც თავისით მუსიკის დაკე-
რაც შეუძლია. აი, ხედავ, ეს არის სპას-
ის კოშკი და ის კიდევ ცნობილი საათი,
რომელიც ახლა მთელმა მსოფლიომ იცის.

ეგ საათი დადგმული იქნა 1595
წელს ბორის გოდუნოვის მეფე-
ობის დროს. შემდეგ ის ცხადია
ბევრჯერ შეაკეთეს და განა-
ხლეს.

— კრემლშია აგრეთვე მეფე-
ზარბაზანი და მეფე-ზარი. — ჩაე-
რია კვლავ ლაპარაკში პეტია.

— იქნებ სჯობია, უფრო ვასა-
გებად განუმარტო. — უთხრა
ძია ვლადისლავმა შვილს.

— მეფე-ზარბაზანს რა გან-
მარტება უნდა, — შეედავა მამას
პეტია, — მეფე-ზარბაზანი მეფე-
ზარბაზანია.

— ეე, ვერა განმარტებაა. ეს არის ძველ-
 ლებური ზარბაზანი, ჩამოსხმული იმდრო-
 ინდელი ოსტატის ანდრია ჩეხოვის მიერ:
 მისი ლულის დიამეტრი უდიდესი იყო
 მთელ მსოფლიოში. იგი იწონის ორი
 ათას ოთხას ფუთს, ანუ ოცდათვრამეტი
 ათას ოთხას კილოგრამს. ამიტომ უწო-
 დეს მას ზარბაზნების მეფე.

— ალბათ ზარიც ისეთივე დიდია და
 იმასაც იმისათვის უწოდეს მეფე-ზარი?—
 იკითხა თამაზმა.

— სწორია, — ღიმილით დაუდასტურა
 ძია ვლადისლავმა. — ეგ ზარიც 1654 წელს
 რუსი ოსტატის მატორინის მიერ არის
 ჩამოსხმული და იწონის თორმეტი ათას
 სამას ოცდაშვიდ ფუთს, ანუ დაახლოე-
 ბით ორასი ათას კილოგრამამდე. სამრეკ-
 ლოზე ატანის დროს ამ სიძიძიე ზარი ჩა-
 მოუვარდათ და გაუტყდათ. მას შემდეგ ის
 გრანიტის კვარცხლბუზე დასა, როგორც
 ისტორიული მნიშვნელობის განძი. მაგ-
 რამ დაეუბრუნდეთ ისევე კრემლის ისტო-
 რიას. ოქტომბრის რევოლუციის დღეებ-
 ში კრემლი ხელში ჩაიგდეს თეთრგვარ-
 დიელებმა, მაგრამ იგი ცხარე ბრძოლე-
 ბის შემდეგ აიღეს სამხედრო რევოლუ-
 ციონური კომიტეტის ჯარებმა 1917 წლის
 3 ნოემბერს. მაშინ ჩენი საბჭოთა მთავ-
 რობა ძველ სტახატო ქალაქში, პეტრო-
 გრადში იმყოფებოდა.

— ახლა მას ლენინგრადი ჰქვია! — დას-
 ძინა თამაზმა.

— ყოჩაღ, გკოდნია! — ღიმილით შეა-
 ქო ძია ვლადისლავმა. — 1918 წლის 12
 მარტს დიდი ლენინი გადმოვიდა კრემლ-
 ში, აქედან იწყება კრემლის ისტორიის
 ახალი ერა. აქ შრომობდა და მოღვაწე-
 ობდა ლენინი. აქვე შრომობდა ლენინის
 საქმის გამგრძელებელი დიდი სტალინი.
 კრემლის დიდ სასახლეში იკრიბება და
 ტარდება კომუნისტური პარტიის ყრი-
 ლოებები, უმაღლესი საბჭოს სხდომები.
 ახლა წავიდეთ და კრემლს შემოვუაროთ.
 ძია ვლადისლავმა წაიყვანა მანქანა.



პეტია და თამაზი კი თვალს არ აშორ-
 ებდნენ კრემლის მაღალსა და კბილებიან
 კედლებს. ალაგ-ალაგ კედლებში დატა-
 ნებული იყო კოშკები, ზოგი მათგანი —
 მრგვალი, ზოგი — ოთკუთხი. ყოველი
 კოშკის წვეტიანი კენწეროზე დამაგრებუ-
 ლი იყო ოქროს ვარსკვლავი.

— ამ ვარსკვლავებში ჩასმული ლალის
 თვლები ღამ-ღამობით წითლად ანათე-
 ბენ. — უთხრა პეტია თამაზს.

მდინარე მოსკვა რეკას სანაპიროდან
 კარგად მოჩანდა კრემლის ეზო, მთავრო-
 ბის სასახლე. იქვე გვერდით კი აღმარ-
 თული იყო მრავალგუმბათიანი ძველე-
 ბური ტაძრები. მოოქრული გუმბათები
 თვალისმომკრელად ლაღლაპებდნენ.

ზოლოს, როდესაც წითელ მოედანზე
 გავიდნენ, აქ ძია ვლადისლავმა მანქანა
 ერთ შესახვევში დააყენა და სამივენი
 ფეხით გაემართნენ მოედნისა და მავზო-
 ლეუმის დასათვალიერებლად.



— აი, ეს არის ის წითელი მოედანი, რომელიც შენ ალბათ კინოში ბევრჯერ გინახავს. — უთხრა ძია ვლადისლავმა თამაზს.

მართლაც თამაზისათვის აქ თითქმის ყველაფერი ნაცნობი აღმოჩნდა. ყოველივე ეს სურათებზე ჰქონდა ნახული: პირდაპირ აღმართულიყო კრემლის ორი დიდი კოშკი. მარცხნივ მოჩანდა ვასილი ნეტარის ზღაპრულად ლამაზი ტაძარი, მარჯვნივ — ისტორიული მუზეუმის შენობა. პირდაპირ კი, კრემლის კედელთან აღმართულიყო წითელი გრანიტისაგან ნაგები მავზოლეუმი.

— აი, ამ წითელ მოედანზე ტარდება სადღესასწაულო დემონსტრაციები და სამხედრო პარადები, — უთხრა ძია ვლადისლავმა, — იქ კი, როგორც ხედავ, ამართულია მავზოლეუმი.

— ვიცი, ჩვენ მაგის მოდელი დავამზადეთ. — უთხრა თამაზმა.

— ჰოდა, აი, იმ მავზოლეუმის ტრიბუნაზე დგანან ჩვენი მთავრობის წევრები

საზეიმო დღესასწაულების დროს და იქიდან ესალმებიან დემონსტრაციას.

თამაზმა კარგა ხანს ვერ მოაშორა თავი მავზოლეუმს, რომელზედაც გამოკეთილი იყო წარწერა:

ლენინი
სტალინი

შესასვენებლ კარებთან ორი საბუთოა ჯარისკაცი იღვა ხელში თოფებით.

თამაზი ისე იყო შთაბეჭდილებით გარუებული, რომ როდესაც პეტრემ მამამისს უთხრა, ახლა მდინარე მოსკვა-რეკას სანაოსნო ვაგზალზე წავგიყვანეო, ახალგაზრდა სტუმარი ძია ვლადისლავს მიუბრუნდა:

— არა, დღეს ეს მეყოფა. თუ შეიძლება, სასტუმროში წამიყვანეთ.

— სწორია, — გაიღიმა პეტრის მამამ, — დღეს მართლაც კმარა, ხალხი სასტუმროში კი არა, ჩვენთან წავიდეთ. — თქვა ეს და მანქანა თავის სახლისაკენ გააქროლა.

(გაგრძელება იქნება)



ზაქარია შარაზლიშვილი

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

ლიანას ჩურჩხელები

ტყეში თხილი დავკრიფე,
როცა იყო თხილობა,
შრილებდნენ ბუჩქები—
თითქოს ჰქონდათ ცილობა.
ყველა მთხოვდა დაკრეფას,
მეხვეოდნენ ძალათა,
სულ თავამდე ამივსეს
ტომარა და კალათა.
ვჭამე, სხვებსაც ვაჭამე,
ყველას გავემასპინძლე,
მერე მივდექ, ვამტკრიე,
ჩურჩხელებად ავკინძე.
მძივებივით ავასხი,
დედამ ვერც კი დათვალა;
როცა რთველი მოვიდა,
მოვადრღე თათარა.



მასწავლიდა,—მთელი დღე
თავზე მადგა დიდგა.
ჩემს გავლებულ ჩურჩხელებს
ხარიხებზე ჰკიდებდა.
ვაშაქრებდი ჩურჩხელებს,—
მზეზე დიდხანს ვაშრობდი;
ყურში იყო დარაჯი
მთელი ჩემი ნაშრომის.
მაგრამ ყურშივ, ეტყობა,
საქმეს ცოტა უმტყუნა:
ერთი ცალი ჩურჩხელა
შეესანსლა ღრუტუნას.
დანარჩენი დავმალე,
სწორედ დროზე გავიგე,
და ახალ წელს ტოლებში
ბევრი ჩამოვარიგე.



ი. შანი

ნახატები შ. ხაბაძისა

ციხვერი მძივი

ნატაშას ყელზე უცნაურად მოხატული დიდი, ციხვერი მძივი უბრწყინავს. აი, საიდან მოხვდა ის ნატაშასთან.

ნატაშა ციმბირში ცხოვრობს, — დიდ სადგურ „ეროფეი პავლოვიჩის“ მახლობლად მდებარე ბაქანთან. ამ ბაქანზე ჩქარი მატარებლები, მართალია, არ ჩერდებიან, მაგრამ ნატაშა სრულებით არ არის მოწყენილი. სკოლაში დადის, რადიოგადაცემებს ისმენს, კითხულობს, მამასთან საუბრობს. დედამისი დიდხანია, რაც კურსებზეა. მამა ამ პატარა სადგურის უფროსია.

— შვილო, იცი თუ არა, ვინ ჩაივლის დღეს ჩქარი მატარებლით? — უთხრა ერთ დღეს მამამ ნატაშას.

— ვინ?

— ოცამდე კორეელი ბავშვი, ისინი მოსკოვში საოქრომბრო დღესასწაულზე მიეშურებიან.

ნატაშა აფორიაქდა:

— მერე და, საიდან იცი?

— მორიგემ შემატყობინა ტელეფონით „ეროფეი პავლოვიჩიდან“

ნატაშას ძალიან უნდოდა ენახა კორეელი ბავშვები, მათთან თუნდ ერთი წუთით მაინც უნდოდა ყოფნა.

— მამა, მეც შევხვდები, კარგი? — თქვა მან, — რა კარგი იქნება, მათ ვაგონში უცებ რომ მოვხვდე!

— მერე როგორ მოხვდები? — იკითხა მამამ, — ჩქარი მატარებელი აქ რომ არ ჩერდება.

— უპ, მართლა, სულ დამავიწყდა! — დალონდა ნატაშა. — მამ, სად გაჩერდება?

— იქ, სადაც ყოველთვის, „ეროფეი პავლოვიჩთან“, იქ მხოლოდ ათი წუთით ჩერდება.

— ათი წუთით? — გაიმეორა ნატაშამ. მერე წამოხტა და გადაწყვეტილი თქვა: — მამა! იქ წავალ!

— სად წახვალ? — თქვა მამამ, — სამი კილომეტრი ხუმრობა ხომ არ არის: გარეთ ცივა, თოვლია, გზა აგერევა...

— როგორ თუ აგერევა? ლიანდაგს გავეყვები. — უპასუხა ნატაშამ.



ლიანდაგს! უკანდან მატარებელი რომ მოკეპაროს!

— მერე რა, ვერ გავიგებ თუ? მამა, გენაცვალე, გამიშვი რა!

ნატაშა ისე ეხვეწებოდა მამას, რომ ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა.

— კარგი, თქვა მან. — წადი, ოღონდ თბილად ჩაიცვი!

ნატაშამ ახალი ქურქი სწრაფად ჩაიცვა, თბილი თავშალი მოიხვია და დედის სარკეში ჩაიხედა. ყველაფერი რიგზეა! ცხვირ-პირი ისე შეეფუთნა, რომ მარტო თვალები უბრწყინავდა და სარკე ჯიბეში ჩაიღო.

ის მოუთმენლად მიაბიჯებდა განძელებზე; ჰყინავდა, მშრალი თოვლი მოლიოდა, ცივი ქარი უბერავდა, მაგრამ ნატაშა ციმბირში იყო დაბადებული და სიცვიც სულ არ ეშინოდა. თავწაღუნული დაბეჯითებით მიდიოდა განძელებს შორის დატოვებული მანძილი მის ნაბიჯებს ეთანაბრებოდა.

ირგვლივ მაღალი ფიჭვები და ნაძვები ხმაურობდნენ, სედიანად ზუზუნებდნენ მაღლა მავთულები. ნატაშა კი მიდიოდა და მიდიოდა.

გზაში ჯერ ერთი ნამცხვარი შექვამა, მერე მეორე და ბოლოს თბილის ქამას შეუღდა. ისე მარჯვედ ქამდა, როგორც ციყვი, წინა კბილებით ორად აპობდა თხილს.

მაღე ისიც გაუთავდა. მაგრამ, აი, მაღალ ნიშანსვეტსაც მოჰკრა თვალი. გამოჩნდა ქვის გრძელი სადგური, რომელსაც „ეროფეი პავლოვიჩი“ ეწერა.

ნატაშა სადგურში მივიდა. სადგური ბავშვებით იყო სავსე. მარტო ნატაშა კი არა, თორმე სხვებაც მოსულან შორიდან კორეელი სტუმრების შესახვედრად. ყმაწვილები ხშირ-ხშირად გახედავდნენ ხოლმე გზას. წითელქუდიანი შორივე მათ ტუქსავდა:

— ნუ დარბიხართ, მატარებელი თავის დროზე მოვა!

და აი, როგორც იქნა, შორიდან საყვი-

რის გაბმული ხმაც მოისმა, ყველა გაქვრივდა და ბაქანზე. ნატაშა სულ წინ გაძვრა. კოტახნის შემდეგ მატარებლის გულუნი მოისმა და შავი კეპლი გამოჩნდა მას ვეებერთელა ორთქლმაკალიც მოჰყვა. ის სულ დიდდებოდა, დიდდებოდა და მალე სტეენით ჩაიარა თვალწინ. ერთმანეთის მიყოლებით გაივლინ თეთრმა წარწერამ: „ვლადივოსტოკი—მოსკოვი“, „ვლადივოსტოკი—მოსკოვი“.

ვაგონის საფეხურებზე გამყოლები ყვირთელი აღმებით იღვნენ. ყმაწვილები ირგვლივ ახმაურდნენ:

— სად არიან ისინი, სად არიან?

ნატაშამაც დაიყვირა:

— სად არიან ისინი, სად არიან?

მას ბედმა გაუღიმა. ვაგონის ერთი გამყოლი სწორედ ნატაშას პირდაპირ მოექცა. ალაში მაღლა ასწია და ამაყად განაცხადა:

— აქ არიან. ჩემთან არიან!



ყველანი იმ ვაგონთან შეგროვდნენ. ზოგი საფეხურზე აცოცდა, ნატაშაც მათ აჰყვა. გამყოლმა ალამი დაიქნია:

— რას შერებით, ბავშვებო, სად მოდინხართ?! თვითონ გამოვლენ თქვენთან! მართლაც, გამყოლის ზურგს უკან კორეელი ბავშვები გამოჩნდნენ, — პატარები და მოზრდილები, ბიჭები და გოგონები, ყველა ბეწვის თბილ ქურქებში იყო გავხვეული...

ირგვლივ დაიყვირეს:

— ვაშა! სალამი! გაუმარჯოს კორეას! გაუმარჯოს კიმი ირ სენს!...

პატარა კორეელები კი განცვიფრებული იდომებოდნენ და შეკრეპილ თავებს აქნევდნენ.

ბავშვები მათ ყოველ მხრიდან აწვდიდნენ საჩუქრებს:

— აიღეთ! სახსოვრად... ინებეთ!

ვინ წიგნს აწვდიდა, ვინ სურათს, ვინ დედოფალას... აი, რა დროს დასწყდა ნატაშას გული! როგორ ვერ მოისახრა, რომ თან რამე საჩუქარი წამოედო კორეელი ბავშვებისათვის?!

ნატაშა ცალი ხელით რკინის სახელურზე იყო ჩამოკიდებული. მეორე ხელი ქურქის ჯიბეში ჩაიყო და რაღაცას ეძებდა, ხელში დედის სარკე მოხვდა. არა უშავს რა, დედა არ გაუჯავრდება! ნატაშა ავიდა კიდევ ერთ საფეხურზე და სარკე კორეელ გოგონას გაუწოდა:

— აიღე, გოგონა... სახსოვრად გქონდეს, ჩემვან... ნატაშა ვორბოივისაგან... აიღე, რა!

გოგონა ვადმოხიხარა, სარკე გამოართვა და ალერსიანად გაუღიმა ნატაშას.

ნატაშა ბედნიერად თვლიდა თავს იმის გამო, რომ გონამ გამოართვა მას უბ-

რალო სარკე, რომელსაც გარშემო მწვანე არშია ჰქონდა შემოვლებული.

კორეელმა გოგონამ უცებ გაიხსნა ქურქი, მოიხსნა ძაფზე ასხმული მძივი და ნატაშას გაუწოდა. ბავშვებმა ამ დროს ყვირილი ატყვეს:

— მეც მომეცი სახსოვრად!.. მეც!.. მეც!..

— თქვენ მართალი ხართ! — დაიძახა ნატაშამ ხმაძალით, — ყველას უნდა ჰქონდეს სახსოვრად, ყველას! იმიტომ რომ ჩვენ ყველას გვიყვარხართ...

ნატაშა სიხარულით ისე დღეავდა, რომ დაავიწყდა, კორეელ გოგონას რუსული არ ესმოდა, მაგრამ ის მაინც მიუხვდა. დაიქნია ხელი, გაწყვიტა ძაფი და თითო-თითო მძივი დაურიგა ყველას. ნატაშას დიდი ცისფერი მძივი შეხვდა. მან ის თამაშში შეინახა და უნდოდა ეთქვა მათთვის, რომ მოსკოვში დიდხანს დარჩენილიყვნენ, კარგად დაესვენათ, მაგრამ ხარის ხმა გაისმა, ორთქლმავალმა დაიყვირა და მატარებელი ნელა დაიძრა:

— უი, არ ვაუყვე! — შეეშინდა ნატაშას. საფეხურიდან ჩამოხვტა და ვაგონს დაედევნა: — ნახვამდის! მშვიდობით იმგზავრეთ მოსკოვამდე! ბედნიერი იყოს თქვენი სტუმრობა!

როდესაც მატარებელი თვალს მიეფარა, ნატაშა შინ წავიდა, განძელიდან განძელზე მიახიკებდა. დროა დრო ჩერდებოდა, თათმანიდან ამოიღებდა მძივს და დაჰხაროდა. შინ რომ მივიდა მძივი ძაფზე ააგო და ყელზე დაიკიდა.

აი, რატომ უბრწყინავს ნატაშა ვორბოივის ყელზე უცნაურად მოხატული დიდი, ცისფერი მძივი.

თარგმანი ნინო თოფჩიშვილისა.



ციცქნა ბიჭი

ილია სინაპალიძე

აგერ, რა ამბავშია
 ოთარციკო თვენება:
 ხელ-პირი რომ დაბანოს,
 ბებოს არ დაანება!
 ჯერ პაწია რომ არის,
 იგი თავს არ უტყდება;
 საპონს ვერ იმორჩილებს,
 ხელებიდან უხსლტება!
 ამბობს: „სველი რომ არის,
 ეს იმისი ბრაღია!“

მშრალი საპნით ხელ-პირი,
 თქვით, ვის დაუბანია!
 ააქაფა საპონი
 ბიჭმა დიდი წვალეებით;
 სახეზე რომ წაისვა,
 მთლად აეწვა თვალეები.
 და მაშინ კი იკადრა,—
 მიიშველა ბებია,
 თქვა: „თვალეების დახუჭვა
 როგორ დამეწყებია!“

ციცინო

აკილი სულაქაური

რა ხანია გათენდა,
 გაიღვიძე, ციციწო!
 გარეთ მზე ველოდება,
 უნდა, რომ გაგიციწოს.
 რატომ გინდა, ციციწო,
 სულ იძინო, იძინო?
 მეგობრებმა, იცოდე:
 ძილის გულა გიწოდეს.
 თქვეს: არ უყვარს ლექსები,
 ზარმაცია ციციწო,
 „სესეს ლექსი“ არ იცის,
 არც „იწილო-ბიწილო“.
 თქვეს, რომ უნდა ციციწოს,
 სულ იძინოს იძინოს.
 განა მართლა ასეა,
 რასა ბრძანებთ გეთაყვა?
 არ გკოდნიათ, ციციწოს
 როდი სძინავს ღღედაღამ.
 წუხელ დედოფალასა

უყვარავდა კაბასა,
 კარგად ვერ შეუყვრა
 და ამიტომ გაბრაზდა.
 კვლავ თავიდან დაიწყო
 ღროზე ვერ დაიძინა,
 როცა კაბა შეყვრა,
 სულ იცინა, იცინა.
 განა მულამ დაწვება
 ასე გვიან ციციწო?
 რატომ გინდათ. ბავშვებო.
 ციციწოზე იცინოთ.
 სხვა ღრჯოს ადრე აღგება.
 ხელ-პირს სწრაფად დაიბანს,
 სუფთა, სახემზიანი
 მიადგება აივანს.
 „სესეს ლექსაც“ ისწავლის
 და იწილო-ბიწილოს...
 გულით უნდა ციციწოს.
 ერთხელ თქვენზეც იცინოს.



რეს—ციცინო. მომვლელმა შეაჩერა, რეს-
ნი და უთხრა:

— ახალმოსული გოგონა არ გინახავთ?
— დღეს რომ მოიყვანეს? იმას ნათე-
ლა ჰქვია, დეიდა! — ერთხმად უპასუხეს
ბავშვებმა.

— ჰო, რაც ჰქვია, ჰქვია; თუ ნახეთ
მეთქი! — მოუთმენლად ჰკითხა მომვლელ-
მა ბავშვებს.

— როგორ არა, აი, იმ ოთახში ზის.
ჩვენც იქ ვიყავით წელან, ცოტა ხნით
გარეთ გავედით და ახლა ისევ მასთან
მივდივართ. — უპასუხა მანანამ.

— იქ არ არის, შვილო, არა! მოძებ-
ნეთ ჩქარა, უნდა ვაბანაო!

გოგონები შებრუნდნენ. შემოირბი-
ნეს მთელი სახლი. ყველა ოთახის კარი
შეაღეს, მაგრამ ნათელა ვერსად ნახეს.
ამ დროს თეთრხალათიანი აღმზრდელ-
მასწავლებელი წინა შემოხვდათ.

— ვის დაეძებთ, ბავშვებო? — ჰკითხა
აღმზრდელმა მათ.

— ნათელას, მასწავლებელო! ვერსად
ვიპოვეთ.

აღმზრდელმა მშვიდად უთხრა გოგო-
ნებს:

— აქ არის ჩვენი ნათელა, ეზოში.
ნაძვის ხესთან იდგა წელან. მოიყვანეთ.
ბავშვებმა ნაძვის ხესთან მიიბრინეს,
მაგრამ ნათელა არც იქ იყო.

ის კიშკრის მახლობლად, ბზის ბუჩ-
ქებში იყო შემძვრალი. კაცის სიმაღ-
ლეზე აქოჩრილი ბზის ბუჩქები ისე იყო
შემოზურული, რომ თუ საგანგებოდ არ
გადაიხიდავდა ვინმე შიგ, ისე ევრადფერს
დაინახავდა. აი, ამ ბზის ბუჩქებში შემ-
ძვრალიყო პატარა ნათელა და ახალ-
აყვავებულ იასთან ჩაცუქულიყო.

გრძელყვლიანი წინდა მარჯვენა ფეხზე
შუამდე ჩამოვარდნოდა და აქა-იქ წით-
ლად აქრელებული წვევი უჩანდა. ამ ზამ-
თარს მუდამ შუა ცესლთან ჯდომის გა-
მო შეტრუსოდა გოგონას ფეხები იქ,

მიხაილ ლეჟავა ნახატები ბ. კრიონიშვილისა

პირველი ღღა

საბავშვო სახლის დარბაზში მომვლე-
ლი ქალი შევიდა მიიხედ-მოიხედა, დარ-
ბაზში არავინ იყო. მერე სამეცადინო
ოთახის კარი შეაღო, არც იქ აღმოჩნდა
არავინ. ბავშვები სკოლებში იყვნენ წა-
სული. სახლში მხოლოდ ხუთიოდე პირ-
ველკლასელი ბავშვი იყო, რომლებიც
აღრე დაბრუნდნენ სკოლიდან: ისინიც
ეზოში გასულიყვნენ სათამაშოდ.

ამ დროს დარბაზში ორმა გოგონამ
შემოირბინა. ერთს მანანა ერქვა, მეო-



შორს სოფელში, სადაც ახლა მარტოდ-მარტო ზის მისი მოხუცი ბებია.

ნათელა დაიხარა და გაფურჩქნულ იას გადაუსვა ხელი.

იამ გასული წლის გაზაფხული მოაგონა მას; მაშინ მთელი დღე ეზოში დარბოდა ნათელა. როცა თამაშით გული იჯერა, ღობის ძირას უხვად ამოსული ია დაკრიფა, პაწია მუჭი გაივსო და დედას მიურბენინა. დედამ ყვაილები ჩამოართვა, ხელში აიყვანა, გულზე მიიკრა და მხურვალედ ჩაკიცნა...

ახლა დედა აღარა ჰყავს ნათელას. მამაკი უფრო ადრე მოუკვდა. კოლმეურნეობამ ნათელას ბებიას მოვლა-პატრონობა იკისრა. ხოლო ნათელა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თბილისში ჩამოიყვანა და საბავშვო სახლში მიაღებინა ამ დღლით.

ეუცხოვა პატარა გოგონას საბავშვო სახლი. მის თვალწინ ჯერ კიდევ სოფლის სურათები ტრიალებდა. იჯდა ბზის ბუჩქებში და ფიქრობდა. ნელ-ნელა ირწეოდა და ოდნავ გასაგონად ბუტბუტებდა:

— შენი თვალების კირიმე, შენი, შენ გენაცვალე, დედა...

მანანამ და ციციონმ რაკი ვერსად იპოვეს ნათელა, ახლა ქიშკრისაკენ გაიქცნენ. მანანამ გადასწია ბზის ტოტები და შეჰყვირა:

— უი, სად შემძვრალხარ, გოგო! — მერე ციციონს ანიშნა, აქ არის ნათელაო და ბუჩქებში გადახტა. ციციონც მას მიჰყვა. ნათელა დარცხვენით წამოდგა. მანანამ ჩაათვალიერა ის და მერე ჰკითხა:

— იტირე? რატომ იტირე, ნათელა? მე რომ მომიყვანეს პირველად, კი არ მიტირია.

— არც მე. — დაუმატა ციციონმა, ნათელამ თვალები აარიდა ამხანაგებს, თავი დაწარა.

— წაშო, უნდა იბანაო, ნათელა! — უთხრა მანანამ და ხელი მოხვია.

— არა, არ მინდა. — ჯიუტად თქვა ნათელამ და ვანზე გაიწია.

— ისე არ შეიძლება, უნდა იბანაო, ახალი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა. — მიეშველა მანანას ციციონო.

— ჰო, იბანავე და მერე ვითამაშოთ, მე ისეთი დედოფლა მყავს, ისეთი, რომ ძალიან კარგი. — უთხრა მანანამ.

— მე პატარა, სულ პატარა პრიალა ჩემოდანს მაქვს, იმაში დედოფალას ტანსაცმელი მიწყვია. — წამოიძახა ციციონი.

— იცი, რა გითხრა, ნათელა? ჩემს დედოფალას შენ გაჩუქებ. ძალიან კი მიყვარს, მაგრამ მაინც გაჩუქებ.

— ჩვენ მეგობრები ვიყოთ. მე ჩემს პატარა ჩემოდანს გაჩუქებ, შენც ხომ პირველ კლასში სწავლობ, სკოლაშიც ერთად ვივლით! — დაუმატა ციციონმ და ბუჩქებიდან გადმოხტა, ნათელაც გამოიყვანეს და სახლისაკენ წავიდნენ.

აღმზრდელი და მომვლელი ქალი ეზოში შეეგებნენ ბავშვებს. აღმზრდელი დაიხარა, ნათელას თავზე ხელი გადაუსვა, მერე აღერსიანად ჩახედა თვალებში, ცრემლით დანაშული შავი წამწამები ცხვირსახოკით მოსწმინდა და უთხრა:

— გაჰყვივი, გენაცვალე, დეიდას, იბანავე და მერე ჩემთან მოდი.

ნათელა ხმამაოულდებლივ გაჰყვა მომვლელ ქალს.

ორიოდე საათის შემდეგ ნათელა საძინებელ ოთახში იწვა. ვანიერი ფანჯრის მახლობლად ღამაზ საწოლში გაეშალათ მისთვის თეთრად მოქათქათე ქვეშაგები. ნამგზავრსა და ნაბანს მალე ტუბი-



ლი ძილი წამოეპარა. ამ დროს კარის
ოდნავი კრიალი მოისმა, ნათელამ გაახი-
ლა თვალები და, გაიგონა თუ არა ფე-
ხის ხმა, ისევ გაინაბა, თავი მოიმძინარა.
ოთახში აღმზრდელ-მასწავლებელი ნი-
ნო შევიდა.

ნინოს უნდოდა შეემოწმებინა, თუ რო-
გორ მოეწყო საძინებელ ოთახში ნათე-
ლა და ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა
მას:

— სძინავს. შენ გენაცვალე, ჩემო გო-
გონა, რაკი ჩვენს დიდ ოჯახში მოხვე-
დი, ახლა შენც ბედნიერი იქნები. არა-



ფერს გაგიპირებთ. — ჩაილაპარაკა ნი-
ნომ. მერე ვაღმოკურებული მსუბუქი
საბანი შეუსწორა და ფეხაკრფებით გა-
შორდა საწოლს.

ნათელამ არ იცოდა, თუ ოთახში დეი-
და ნინო შემოვიდა, თორემ არ მოიმძი-
ნარებდა თავს. მერე კი, როცა მისი
სიტყვები გაიგონა, თვალის გახელისა
შერცხვია.

...მომვლელი ქალიც კარგია, — ფიქ-
რობდა ნათელა, — ახალი ტანისამოსი
ჩამაცვა და თმები დამეარცხნა, ისე რო-
გორც დეიდა იცოდა.

ამ ფიქრებში ჩაეძინა ნათელას.

საღამო ხანს გადავიძვს. უმაღ წამოხ-
ტა. ახალი კაბა გადაიცვა და დერეფან-
ში გავიდა. დერეფნის ბოლოში მანანა
და ციციწო ფუსფუსებდნენ: ბიბლიოთე-
კიდან წიგნები მოეტანათ, სურათებიანი
აღბომები ერთად დაეწყოთ და ნათე-
ლას მოლოდინში პატარა ჩემოდნიდან
სხვადასხვა სათამაშოების ამოლაგებას
შესდგომოდნენ. ნათელაც მათთან მივი-
და და ჩაება თამაშში. მერე სურათები-
ანი აღბომი გადაათვალიერა და ერთ სუ-
რათს დააკვირდა.

— ვერ იცანი? დეიდა ნინოს სურათია.
მე და ციციწოს გვაჩუქა. — უთხრა მა-
ნანამ.

— როგორ ვერ ვიცანი! — ღიმილით
ჩაილაპარაკა ნათელამ და მერე მორი-
დებით უთხრა:

— მათხოვე ეს სურათი, მანანა?!

— კარგი, შენ გქონდეს.

— სულ შენი იყოს! — დაუმატა ცი-
ციწომ.

ნათელა წამოხტა. სწრაღად ჩაირ-
ბინა დერეფნის კიბე. ტანსაცმლის გა-
სახდელ ოთახში შევიდა და კუთხეში
დალაგებულ თავის ნივთებთან ჩაიმუხ-
ლა; დეიდა ნინოს სურათს ერთხელ კი-
დევ დახედდა და დედის სახსოვრებთან
ერთად სათუთად შეინახა.

ყველა ვმრომობთ

ყოველ დღე
მამას, ანდროს
საუბრე რომ მოუზადოს;
დედაჩემი ადრე დგება.
რომ არ ადგეს, — თავისთავად
საუბრე არ მომზადდება!

სამუშაოდ მიდის მამა,
ქარხანაში ფოლადს ადნობს,
ანდროც უნდა ადრე ადგეს,
რადგან სწავლობს ჩვენი ანდრო.

დედაც შრომობს,
მამაც შრომობს.
ანდრო ცოტას შრომობს განა?
სწავლასაც ხომ შრომა უნდა, —
რომ ისწავლოს ანა-ბანა,
ცოტა შრომა უნდა განა?!
მეც დედაჩემს ვეპარებები
აქეთ-იქით დაკვდებ კულში.
აბა რა კქნა,
ჯერ ხომ არ ვარ
მამასავით სამსახურში?



ქ. გომიამვილი

ცუგო და მამადი



— ჩემს ცუგრიას რატომ აქვს
ახვეული თვალი?
— გეტყვი, ჩემო დაიკო,
ყური მიგდე, ლალი.
ამას წინათ საყენკი
დაფუყარე ქათმებს,
ცუგო ღორმუცელაა,
საქმელს ყველას ართმევს.
მიირბინა ქათმებთან,
ხარბად კამდა სხვის წილს,
ყველას მშიერს ტოვებდა,
მოზრდილსა თუ წიწილს.
— მერე, მერე?
— მამალმა
ბევრჯერ მოუთმინა,

ახლა ცუგოს დაუდგა
ვაჟაკურად წინა:
— კა! - კარგო! — შესძახა
მომალადეს მამინ,
და იმ მსუნაგს ნისკარტი
მაგრად ჩაჰკრა თვალში.
— მოძალადეს ყოველთვის
ასე ეპართება, —
თქვა ლალიმ და ძაღლს უთხრა:
— ეგრე მოვიხდება! —
დარცხენილი ცუგრია
იჯდა მარტოდმარტო,
ხან მამალს უტკეროდა
და ხან მამლის პატრონს!



რ. პლანიძე

ნახატები რ. ხაშვირძისა

უხნაური ქვა

ბუნების კარი

ზაზა და ლია ზღვის პირას ღამაზ კენტებს აგროვებდნენ. ბოლოს ზღვაზე ქვების სროლა დაიწყეს.

— ეს ქვა ჩემი რაშია, ნახე, როგორ შორს გაფრინდება!

— ეს ჩემი მიმინოა, ყველას გაასწრებს! — აქებდნენ თავის არჩევანს ბავშვები და თან სხვა ქვებს ეძებდნენ გაფაციკებით.

ზაზას ერთი აგურისფერი ქვა მოჰყვა ხელში, გასინჯა, მოიქნია და ზღვაში გაისროლა.

ქვა ტალღებმა აიტაცეს, აატივტივეს და შორს გააქანეს.

ზაზამ გაოცებით წამოიძახა:

— ლია, შეხედე, რამხელა ქვა გადავადგე ზღვაში და არ ჩაიძირა, ტალღებზე ნაფოტივით ქანაობს.

— ალბათ ხე იყო და ქვა გეგონა! — უთხრა ლიამ ძმას. ზაზა თვითონაც დავკვდა, ისეთი ქვა კიდევ მოძებნა და გადაისროლა.

— არც ახლა გჯერა?! აჰა, გასინჯე, თუ ხეა.

ლიამ ახლა თვითონაც მოძებნა ისეთი ქვები; ისინი ზოგი აგურისფერი იყო, ზოგი თეთრი, ზოგიც — ყვითელი.

სახლში დაბრუნებისას ზაზამ და ლიამ თავისი მდიდარი კოლექცია თან წაიღეს.

ერთ დღეს, სკოლაში დიდი დასვენების დროს, მოსწავლეები ერთიმეორეს ამოცანებს ეუბნებოდნენ.

ერთმა თქვა:

— ქვას რომ წყალში ჩავადგებთ, რა დაემართება?

— დასველდება! — უპასუხა მეორემ.

— ჩაიძირება! — დაუმატა მესამემ.

— არა, ყველა ქვა არ იძირება წყალში. — გამოედავა ზაზა ამხანაგს.

— ოჰო! ახალი ამბავი, ქვა წყალში არ იძირებაო.

— ზოგერთი ხეც იძირება და ქვა არ ჩაიძირება? — წამოიძახა რამდენიმემ.

მაშინ ზაზამ ამხანაგები ბუნებისმეტყველების მასწავლებელთან მიიყვანა და სთხოვა დაერწმუნებინა ისინი, რომ ნამდვილად არსებობს ტიეტია ქვა.

— ზაზა მართალია! — თქვა მასწავლებელმა, — ყველა ქვა არ იძირება წყალში. ტიეტია ქვას, ზაზას რომ უნახავს, მეცნიერებაში პემზას ეძახიან. ის წარმოიქმნება დედამიწის სიღრმიდან ამოხეთქილი, გავარეარებული ლავის ნაკადში, საიდანაც ქაფის სახით ამოღის, ამის გამო მას ვულკანის ქაფსაც ეძახიან. მსუბუქია ბევრ ხეზე და მაგარია ბევრ ქვაზე.

პემზა მეტად სასარგებლოა, მას იყენებენ წარმოებაში ხისა, ლითონისა და ტყავის საფეხკაღ; მისგან ამზადებენ მსუბუქ დღურებსა და აგურს, ტილოსა და ქალაღს, ქიმიურ მრეწველობაშიც იყენებენ ფილტრად, საშრობ აპარატებისათვის და სხვა.

პემზის დიდი საბაღოები დედამიწაზე ნაკლებად გვხვდება, საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტია სომხეთში. საქართველოში მოიპოვება კავკასიონისა და აჭარა-გურიის მთებზე, საიდანაც მდინარეებს ჩამოაქვთ შავ ზღვაში. — დაასრულა მასწავლებელმა.



პატარა პარაშუტისტი

გიორგი ჯაშთარაძე

კვირა დღით დიდ-პატარას მოეყარა ბალში თავი; ბალი იყო ათასფერი, საამური სანახავე.

უცებ ციდან ვადმოეშვა, ქოლგა იყო, განა ბურთი, და ბავშვებიც ახმაურდნენ: — პარაშუტი! — პარაშუტი!

ბებოც მალლა მიაჩერდა პარაშუტში გაბმულ ყმაწვილს. ბიჭმა „პერი“ შემოსძახა და დაეშვა ყველას თვალწინ.

შემდეგ სხვებიც დიდი კიბით მალალ კოშკზე აღიოდნენ; რიგრიგობით ეშვებოდნენ, — რიგში იდგა ათიოდე. — რას სჩადიან ეს ცელქები?

კი ყოფილან გამბედავნი, თინა ამას არ ჩაიდნეს, არ მომიკდეს მისი თავი! — თქვა ბებომ და გოცებით შეერთა, როცა დაუკვირდა: თინა იყო, მისი თინა, — წინ ჩიტივით დაუფრინდა.



ბორის ჩხიძე

ნახატები ი. ბახაშვილისა

ყვავი და გუგული

(ხალხურიდან)

გაზაფხულზე უცხო ქვეყნიდან გუგული მოფრინდა. ერთი დიდი მუხის ტოტზე გაიჩინა ბინა. ყვავმა ეს მაშინვე შენიშნა. ის დიდი ხანია ცხოვრობდა იმ მუხის წვერზე. ნამგზავრ გუგულს მეორე დილით ადრე ესტუმრა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა მოკრძალები ო.

— გმადლობთ! — მიუგო საზაფხულო ბუმბულში კრელად. გამოწყობილმა გუგულმა.

— რა ამბავია თბილ ქვეყანაში? — შეეკითხა ყვავი.

— მოსათხრობი ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ გუნებაზე არა ვარ, დიდი გზა გამოვიარე, შვია.

— მაგაზე რამ დაგაფიქრა. სასმელ-საქმელი ჩვენს ადგილებში ბევრია. წამობრძასდიო, რა გესიამოვნებათ ამ დილით? — შეეპატიჟა ყვავი.

— ოციოდე ცალი ქუპრი, ან ამდენივე ახალი მატლი შესანიშნავი საუზმე იქნება, თუ წყაროს წყალსაც ვიშოვიოთ. — თქვა გუგულმა.

— მომყევი. — უთხრა ყვავმა.

სტუმარმა და მასპინძელმა ერთად ერთს შემოჰკრეს. გაღადფრინეს მუხის ტოტის იქით დიდი მინდორი იყვამდნენ ხები მიწას ხნავდნენ. გუგული ერთი დიდი ბელტის წვერზე წამოსკუბდა. ყვავი შეუდგა გამასპინძლებას. მოზიდა ხნულიდან ქუპრები, მატლები, კიები. სტუმარსაც ბევრი უძღვნა და თვითონაც კარგად დანაყრდა.

ნასიამოვნები დაბრუნდნენ შინ. გუგულმა ტოტზე დაიძინა. ყვავმა კი სტუმრის გამოლოცებამდე ტყეში ინაგარდა. იპოვა ხმელი ჩხირები, გახირა ისინი ბორჯდში. ბუდის საძირკველი გასკენა. ამასობაში სტუმარსაც გამოეღვიძა. ყვავი კვლავ მიფრინდა მასთან და შეეხვეწა: აბა მომიყევი ამბავიო.

— ეგვიპტეში გავატარე ზამთარი. — დაიწყო გუგულმა და მაშინვე დაუმატა: — არა ვარ თხრობის ხასიათზე, ისევ მომშივდა.

ყვავმა ის ახლა სოფლის შარისაკენ გააფრინა. მოაგროვა სიძინდის დაბნეული მარცვლები, ნისკარტდაღებულ გუგულს პირში უყრიდა. გაძლა გუგული და ისევ დაიძინა. დიდ ხანს გაგრძელდა ასე. ყვავი კვებავდა გუგულს; შეატყო ყვავმა, — ღორმუცელა და მძინარა გუგული, როგორც შრომაში, აგრეთვე ამბის თხრობაშიც უხვირო იყო, მაგრამ მაინც ეცოდებოდა და განაგრძობდა მასთან მე-





უკითხავად ჩაჯდა მგებობრის ბუდეში რკხის დასადებად. მალე პატრონი ფრინდა. გუგული ბუდეში დაინახა, გაოცდა. გაჯავრდა.

— გუგულო, რა გინდა ჩემს ბუდეში?

— ბუდის აგება ვერ მოვასწარი, ვერ მოვახერხე, აბა, კვერცხი სად დადელო? — ურცხვად შეუბრუნა სიტყვა გუგულმა.

მოუვიდა ყვავს გული. დააცხრა თავს, დასცხო ნისკარტი, და იმ არემარედან შორს გაავლო.

შეშინებულმა გუგულმა ბევრი იფრინა. ბოლოს მოლაღურის ბინას მიაღგა. ამ ფრთოსნის პაწია ბუდე სამი წვრილი ძაფით ეკიდა ხეზე. ჩაჯდა შიგ. დადო კვერცხი, ამოფრენისას ფრთებით ძაფებს მოედო, გასწყვიტა. ბუდე ძირს ჩამოვარდა, მოხვდა ქვას და კვერცხები სულ დაიმსხვრა.

ასე დაზარალა ზარმაცმა გუგულმა ყვავი, მოლაღური და თავისი თავი. გაიგეს ეს ტყის ფრინველებმა და მას შემდეგ გუგულს ახლოს აღარ იკარებენ.

ვისაც დილით ტყე უნახავს, ის შენიშნავდა, რომ გაიღვიძებენ თუ არა ფრინველები: ქორი, ძერა, ყვავი, მერცხალი, ბელურა, სკვინჩა, და სხვები, — ტყის თავზე ირევან, ამომავალ მზეს ღმურ-ჭიკჭიკით ეგებებიან. იმ ფრინველებში ვერ შენიშნავ უღირს, ზარმაც გუგულს.



გობრობას, ერთხელ კი ველარ მოითმინა და ჰკითხა:

გუგულო, ბუდის აგებას როდის იწყებ?

— ჯერ რიგიანად არც დამისვენია. — მიუგო მან.

— დრო გადის, ზაფხული ახლოვდება. — მოაგონა ყვავმა.

— არაფერია! — თქვა გუგულმა, — ამასთან, ბუდის აგება არც შეხერხება.

— წამოდი, მიყურე როგორ ვაგებ ბუდეს, ისწავლე და შენც ეცადე. — შესთავაზა ყვავმა.

გუგული დათანხმდა. აფრინდა ზევით. ყვავმა ბუდის ჩხირების ჩონჩხს ზღუდეები შემოავლო. მოხიდა ხმელი ბალახი და ჩააგო შიგ.

გუგული იჯდა ტოტზე. ერთხელაც არ მიეშველა ყვავს. სულ შშია-შშიას გაიძახოდა, თან ამთქნარებდა და აზმორებდა.

გავიდა აპრილი და მაისი. მუხა შეიფოთლა. ტყე დაიბურა. ყვავმა რამდენიმე კვერცხი დადო ბუდეში. გუგული კი ჯერ ბუდის აგების სამზადისშიც არ იყო, ხიდან-ხეზე გადაფრინდებოდა და „გუგუს“ გაიძახოდა.

ერთხელ კვერცხი უნდა დაედო. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ბუდის აგება ვერ მოასწრო, მაშინ ისევ ყვავს მიაშურა.



ბესიკო

ფეხზე დადგა ბესიკო,
რა ბიკია, რა ბიკი,
გადადგა ბესიკომ
უკვე ერთი ნაბიჯი.

დგა-დგა! აი, დგას!
ფეხი უნდა აიდგას...

უტბად ჩაჯდა ბესიკო,
მისი გავლაც ეს იყო.



ველოსიპედზე

ჩვენო კარგო გოგი,
არ გაწყვიტო თოკი, —
ზედ სარეცხი შრება,
აქეთ სეირნობა
ჯერ არ შეიძლება!

გატრიალდა გოგი
არ გაწყვიტა თოკი.
გოგონების თხოვნა
გოგომ გაიგონა.

უდის მხატვრობა ველურის რ. სტურუას

ფანი 2 805

რედაქტორი იოსებ ნიწეშვილი. საარქივო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი,
თ. თუმანიშვილი. მკვლევარი მრეწველთა (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგალიტი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაქოშვილი,
შ. ცხადაძე